სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №173

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **01 ოქტომბერი 2019წ.**

ხელშეკრულების მხარეები:

შპს **,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** (შემდგომში **,,შემსყიდველი"**) წარმოდგენილი დირექტორი **მინდია კახიძე.**

შპს **,,მათემოტორსი"** (შემდგომში **,,მიმწოდებელი"**), წარმოდგენილ დირექტორ **ავთანდილ გელავას** მინდობილი პირი (2018 წლის 31 დეკემბრის 31 №2018-57 მინდობილობა) აჭარის ფილიალის წარმოდგენილი დირექტორი **დომენტი ჩხეტია.**

ორთავე ერთად **,,მხარეები"**, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე, გამარტივებულის შესყიდვების შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ/სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,მომსახურება'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ,,შემსყიდველი ორგანიზაციის" კუთვნილი 2012 წელს გამოშვებული, "ჰიუნდაი H1"-ის მარკის ავტომანქანაზე **(სახ. ნომერი: CNC-941)** 1 კომპლექტი წინა სამუხრუჭე ხუნდების და 2 ცალი წინა სტერჟინის შეძენა/შეცვლა, აგრეთვე სუპორტების მოხსნა, აღდგენა, დაყენება.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: **50100000.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **330 (სამასოცდაათი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს **(სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები და შპს სახსრები)** მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (რომელსაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ყოველი კონკრეტული მიწოდების დროს) არაუგვიანეს **10 (ათი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტისა და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის დღიდან.

5.2. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. გამოვლენიდან/შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

6. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების გაწევის ადგილი, ვადა და გარანტია

6.1. საქონლის შესყიდვისა და მომსახურების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის სერვის ცენტრი, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N43.

6.2 საქონლის შესყიდვისა და მომსახურების ვადა განისაზღვროს ავტომანქანების სერვის ცენტრში მიყვანიდან 1 **(ერთი) სამუშაო** დღე.

6.3. გაწეულ მომსახურებასა და შესყიდულ საქონელზე საგარანტიო პერიოდი განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან **6 (ექვსი)** თვე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლისა და მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3.**მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- მოთხოვოს შემსყიდველს საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მიაწოდოს საქონელი და მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლის შესაბამისად;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი და მომსახურება ნაკლის მქონე აღმოჩნდება, გამოვლენიდან/**შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის** ვადაში აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი ახლით;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულები-სათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **0.02 %.**

8.2.იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **4%-ს,** შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. წინამდებარე ხელსეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ნოემბრის** ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

14.1. ,,მხარეები“ ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილებები წერილობითი ფორმით აცნობონ ერთმანეთს.

„შემსყიდველი“

შპს „ბათუმისსასწრაფო სამედიცინო

დახმარების ცენტრი”

საიდენტიფიკაციო კოდი:245426490

მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№154

ელ. ფოსტა: batumi03@gmail.com

ტელეფონი: +0422 25 87 03;

მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის№ GE92TB4457736020100006

" GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD

Подписано цифровой подписью: " GENTRE OF FIRST AID OF BATUMI ‘’LTD
Дата: 2019.10.01 17:46:14 +04'00'

დირექტორი:
მინდია კახიძე

„მიმწოდებელი“

შპს „მათემოტორსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204470063
იურიდ. მის: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი,
მარჯანიშვილის სანაპირო, #6;
სხვა. მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
მარშალ გელოვანის გამზ., 2ა
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N43
ელ. ფოსტა: law@matemotors.com**;**
matemotors@mail.ru
ტელეფონი: 591 40 95 77;
მიმღები ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი:TBCBGE22
ანგარიშის №CE92TB1148136020100004

დირექტორ **ავთანდილ გელავას**
მინდობილი პირიაჭარის ფილიალის
წარმოდგენილი დირექტორი
დომენტი ჩხეტია